





## უცხოეთი

ხელი ადამიანისა ფოტოგრაფიით, გაც-  
დებული. ნეკოტესზე (რაზედაც ისახება  
გადაღებული საგანი) დაწეული იყო მარტო  
ქვლები ხელისა, რაღანაც სინათლეს გავ-  
ლო ხორცა და ტყავში. ორი ბეჭედი, თი-  
თზე, რომელშიც სინათლე ვერ გაატანდა,  
ისე იყო სურათზე, თითქო ორი რგოლი  
დაჭიდებია ჰაერში ხელის ქვლებს ზემოდა-  
მაო. ამ მაგალითს დაურწმუნებია ყველანი  
რა დიდის მნიშვნელობისა ეს ახალი აღ-  
მონაჩენი. ხირუგიისა და საშიგნეულო  
მკურნალობისათვის დიდი გამოსადეგი რამ იქ-  
ნება ეს გვარი სინათლე. მის შემწეობით  
შესაძლოა ფოტოგრაფიით გადიღოს კაცმა  
შიგნეულობა ცოცხალის ადამიანისა და ამ  
გზით შეიტყოს მიზეზი შიგნეულის სატკივ-  
არისა, ვთქათ, მუწუკია, სიმისინე, კუ, უ  
სხვა რამ. გარდა ამისა ამ სინათლის შე-  
წეობითვე ადგოლად იპოვის კაცი მოხვედ-  
რილს ტყევიასაც, ადამიანის შიგნეულობაში  
თუ მიმმალა საღმე. სწავლულებს და თვით  
საზოგადოებასაც დიდი ყურადღება მიუქმე-  
ვიათ ამ აღმონაჩენისათვის. გერმანიის იმპე-  
რატორს ვილჰელმს II დეპეშით დაუბარე-  
ბია თავისითან პროფესორი რონტგენი და  
მიუწვევია სასახლეში, რათა გამოკვითხოს  
ამ აღმონაჩენის და მისის საქმეში გამოყე-  
ების ამბავი. (ნ. ვ.)

— ბევრს პლატიკორებს თურის ენდო  
პარისში იმაზე, რომ საფრანგეთის ერთს  
ინჟინერს დენეირუშს ახალი გვარი განათება  
მოუგონია. ეს განათება ბევრით სჯობია  
თურმე ელექტრონით განათებას სინათლის  
ძლიერებითაც და იეფობითაც. დენეირუში  
ამტკიცებს, რომ ასი მილლიონები იხარ-  
ჯება განათებაზე პარისში და ჩემ მიერ  
მოგონილი განათება ერთი ათად ნაკ-  
ლები დაჯდება და სინათლეც მეტი იქ-  
ნებათ. „ამ სამს კეირაზეო, ამბობს  
დენეირუში: პარისს თავისის თვალით დავა-  
ნახებ საფრანგეთის სანათური უფრო კარ-  
გია, თუ ელექტრონი ამერიკელისაო“ (ნ. 3.)

თველები, რომ მათს ეროვნულ  
გრძნობას ჯეროვანი ყურადღება არა  
აქვს მიქეული, რომ იმათ ენას  
არ ასწავლიან მთავრობის სკო-  
ლებში რომ მათ სრულის ნდობით  
არ იქცევან საშედრო საქმეების  
შესახებ, ერთის სიტყვით, რომ მთ  
ადარებენ კავკასიის სხვა ტომთა,  
რომელნიც პოლიტიკურად საქვინი  
არიანო“. ბოლოს გენერალი ფადა-ე-  
ვი ურჩევს მთავრობას: თუ ჩვენი  
თავისათვის და თვით ქართველები-  
სათვისაც კარგი გვინდა, თავის ნე-  
ბით რუსეთიან შემოქრთებულს ჩვენს  
ერთგულ საქართველოს — განუყრელ  
ძმას ერთგვარი სარწმუნოებით, უფ-  
რო დიდის პატივით მოვექცეთ,  
ჩვენი წეს-წყობილებანი ქართველთა  
ადგილობრივ მოთხოვნილება-საჭირო  
როგობას შევუთანხმოთ და ამგარაც  
ნურაში დაეჩაგრავთ და შევურაცხ-  
ვყოფთ იმათს ხალხოსნურ გრძნო-  
ბებსო. დასასრულ ფალავი აა-  
სიტყვებით ათავებს თავის ღირს  
სახსოვარ წერილს: „პოლშელს არ  
შეუძლიან იყოს საიმედო ქვეშევრული  
მი, როცა იგი ნამდვილი პოლშელია  
ქართველი-კი რუსის კარგი ქვეშევ  
რდომი მაშინ იქნება, როცა იგი ნა  
მდვილი და ქეშმარიტი ქართველი  
სულითაც და გულითაც.“ „მოკვ

**საფრანგეთი.** ამ დღეებში საფ-  
რანგეთში მიიცვალა ახალგაზდა მი-  
ლიონერი ლებოლი. მილიონერის  
გაზდაცვალა არავისთვის საინტერესო  
არ იქნებოდა, რომ ამ კაცის სახელ-  
თან შეკავშირებული არ იყოს საფ-  
რანგეთის უურნალ-გაზეთთა წარმო-  
მადგენელის ეგრედ წოდებული შან-  
ტარი.

შაქს ლებოდი დიდი შეძლების კაცი იყო და როგორც შემცირების შეძლებულს კაცს, ნიდაგ ქეითში ატარებდა ცხოვრებას. ურიგო ცხოვრებამ ყმაწვილი კაცის სხეული დაასუსტა და როცა ჯარში გასაწვევად ექიმებმა გასინჯეს დაამტკიცეს, რომ ჭლექი სჭირდა. ამ მიზეზის გამო ჯარში ოლარ გაიშვიეს. ეს გაზეთებმა დაიხვიეს ხელზედ და დაუწყეს კიცხვა ექიმებს და სამხედრო მთავრობას, რომ ქრთამი აიღეს და მიტომ განათავისუფლესო. სამხედრო მთავრობამ განკარგულება მოახდინა ხელ ახლა გასინჯონ ლებოდი. რადგან იგი პარისის გარეთ იყო ჰაერი-სათვის წასული დაიბარეს და ხელ-ახლა გასინჯეს. ამ დღეს აქეთ ლებოდი ლოგინიდამ ალარ ამდგარა. თუ-რჩე გაზეთებმა იმიტომ ასტეხეს ლებოდის შესახებ ლაპარაკი, რომ უნდოდათ ფული დაეტყუბებინათ, როცა ფულს მისცემდა ხოლმე ამა თუ

ინ გაუხეთის წარმომადგენელს, მა მის  
მისს ინტერესებს იცავლენ და რო-  
გორც ფულის მიცემას მოუსპობდა,  
ხელ-ახლად ასტებდნენ ლაპარაკს და  
ამტყუნებდნენ მთავრობას მისი გან-  
თავისუფლებისათვის. ეს ამბავი გა-  
მოაშეარავდა მხოლოდ ლებოდის  
სიკვდილის შემდეგ. ამ შანტაჟისტთა  
გუნდის წინამძღოლად იყო თურქე-  
ვილაც „ვიკონტ-დე სესტი“. ამ საქ-  
მის შესახებ გამოძიება დაიწყო და  
რამდენიმე პირთ ბრალდებათ შან-

ଫୁଲିବାରେ କିମ୍ବା ପାଇଁ ଏହାରେ କିମ୍ବା ଏହାରେ କିମ୍ବା

და და თავის ანდერძით აწ ისევ საქ-  
მობს მკვდარიო. — სწორედ ფალე-  
ვისთანა ჰეშმარიტების მეტყველზედ  
უთქვამს ეს სიტყვა-მარგალიტი პოე-  
ტის უკვდავ გენას. რომ თავი არ  
შეგაწყინოთ, აქ ვათავებ სიტყვას და  
ამას-ლა ვინატრი გულით: ჩვენი ხა-  
ლხის უმრავლესობის ხსენებული ნა-  
ტრა ჩვენი მოწინავე კაცების დაუ-  
ვიწყარ ზრუნვად გადაქცეულიყოს  
და უმიღლეს მთავრობისაც მოწყა-  
ლის თვალით გადმოეხედნოს ჩვენი  
ბედ-უბედობის პირველსაგან დედა-  
ინისათვის.

— ამინ!.. მძლავრი ტაშის ცემით  
დაიგრიალა მთელმა დარბაზმა და  
გაძლიერდა ტკბილი საამო «მრავალ-  
-ფამიერი».

სიმღერის შეწყვეტის უმაღ სტეი-  
რის გულ-სევდიანი ზუზუნი მოისმა-  
რთომ

— კამპანია! მეტვირე გეხლათ  
და შამოუშვა? იკითხს სუფრის მე  
თვალყურემ-  
— მოვიდეს, მოვიდეს! — მიაძახე  
აქეთ იქიდამ.  
შემოვიდა ფარაჯაში გახვეული მე  
სტვირე და მექორწილეთ თავი დაუ  
კრა თავაზიანად. ყველამ სული გა  
ნაბა და შეა-დარბაზში გაჩერებულ  
მეტვირეს მიაპყრეს თვალები.

ზაროს” რედაქტორი სენ - სე -  
რი. მისი ნამდვილი გვარი როჩენ  
ტალია და გერმანელი ებრაელია.  
თურმე დიდი დონ-ეფანი ყოფილა  
და ამ ასპარეზზე გამარჯვებით სელა  
დაიწყო მით, რომ ცნობილის მწერ-  
ლის ზახერ მაზოხის ცოლი მოიტა-

ცა. ამ ქალთან ერთად გაიქცა გერმანიიდამ პარისში. აქ ფრანგობა და-იწყო და საქვეყნოდ აცხადებდა თა-ვისს ზიზღს გერმანიისაღმი. როცა „ფიგაროს“ რედაქტორობა იშოვა, ერთად-ერთ ცხოვრების საგნაც მი-იჩნია მხოლოდ ფულების შევნა, ზა-ხერ მაზოხის ცოლი-კი ისევ უკანვა გერმანიაში გაისტუმრა. რა რიგად მიიპოვა შეძლება; ამას გამოძიება გვაჩვენებს უმიველია. 1887 წელს დაბრუნდა ისევ გერმანიაში და გა-

ცონი ლინდაუს, ომელისაც ცოლა-  
და ჰყავდა ცნობილის გერმანელის  
ვოდევილების მწერალის კალიშის  
ქალი. ლინდაუ ცოლმა მიატოვა და  
თან გაჰყვა სენ-სერს პარს ში. ლინ-  
დაუს მეუღლე ზახერ მაზოგის ცოლ-  
ზე უფრო ხერხიანად მოიქცა. სენ-  
სერმა მასზე ჯვარი დაიწერა, ბ. ლინ-  
დაუ, ომოროც ეტყობა, ამ ქორწი-  
ნებით დიდი ქმაყოფილი დარჩა, ო-  
დგან სენ-სერთან მეგობრული კავში-  
რი დაიკავა და ხშირად ეწერდა სხვა  
და სხვა საქმეებში. ომცა სენ-სერი  
და ატუსალეს, მისი ცოლი უწინდევ  
ქმართან იყო სტუმრად. ბ. ლინდაუ  
ახლა ცნობილი მეინინგენის თეატ-  
რის ინტენდანტია. მით უფრო საინ-  
ტერესოა სენ-სერის ცხოვრება, რომ  
მოპასანის ცნობილ რომანის „Bel-  
ami“-ის გმირის ცხოვრებას წააგავს  
ბევრში.

„ფიგარო“ სცდილობს დამწერი-  
ცოს, რომ მისს რედაქტორს არავი-  
თარი დანაშაული არ ჩაუდენია. ამის  
საბუთად ისიც მოჰყავს, რომ სენ-  
სერს რეა წლის თავისის მოღვაწეო-  
ბის განმეოლებაში დამოკიდებულება  
ჰქონდა გარეშე საქმეთა სამინისტროს-  
თანაო, თვით დატუსალების წინა  
დღით ბერტლოსთან ჰქონდა მოლა-  
პარაკებათ.

— აბა, ძმობილო, ერთი კარგისა  
გვითხას რამე, რომ სულსა და გულს  
მეეცხოს, — უთხრა თამაღამ.

მესტვირემ პასუხის ბალობდ მართვ-  
ბულად თავი დაუკრა თამაღას, სტვი-  
რის გულა გაბერა, ფერადინი ქვის  
თვლებით და ვერცხლის სალტე-ზი-  
ნზილოებით შემკულ სტვარს თითვ-  
ბი მოუშარჯვა, სტვიჩმა სამებელი  
ზუზუნი დაიწყო და მესტვირემ მეს-  
ტვირულად დაჭმლერა ზედ შემდეგი:

წმინდა სამებაშოთ და მომავალა:

ეკი ს ცეკვით გულერებათ.  
მისმინეთ დამლოცველსაო,  
გაუმარჯვოთ ბატონებო,  
ოქეენს ნეფე-დედოფალსაო,  
ეყოლოთ იგეთი ვაჟი—  
ჰგავნდეს ნატრის თვალსაო.  
ანგელოზის გული მისცეს  
უფალმა პატარძალსაო,  
რომ პატივით ეცცეოდეს

დედაძთილ-მართილსაო  
და მალამოთ ედებოდეს  
თავის ქმარსა და შვილსაო.  
აძლიეროს ნეფელ ღმერთმა,  
იზამდეს გმირობასაო,  
მტერსა მტრობას გაუწევდეს,  
მოყვარეს მოყვრობასაო.  
აშორებდეს ობოლ საწყალს,  
ბეჩავს და დაჩაგრულსაო:  
მოქრთამე მოხელეებსა,  
უღვთო ურიის ვალსაო,

დაატუალეს აკრეთვე მეორე ცნობილი ეურნალისტი ლაბრიუერი. მისი და მისის მეგობრის ქ-ნ სევერინის სახლი გაჩერიკეს. ლაბრიუერი იყო თანამშრომელი, სეკრეტარი და როგორც რომფორი უწოდებს — „დარჯი“ ქ-ნ სევერინისა.

ლაპბიუკი იყო ერთ-ერთი დამ-  
ფუძნებელთაგანი გაზ. „კოკარდა“-სა  
და გატაცებული თაყვანისმცემელი  
ბულანეესი.

ატუსალონ „ტან“-ის თანამშრომელი  
ვიღაც ს., და რაღვანაც ის ვეზ  
იპოვეს გამოშძებელმა დაიბარა თვით  
გაზეთის რედაქტორი.

ଲ୍ରାଙ୍ଗମିନ୍ଦ୍ରା ଶୁଦ୍ଧିକ ତେଜିଷ୍ଠା କୁ  
ଲାଲଦ୍ଵୟ ଦାରିଦ୍ରୀ, କରମ୍ଭେଳନ୍ତିପ ଅମ୍ବକୁ-  
ପ୍ରେଥ୍ମ ମର୍ଦ୍ଦାଗାଲ ଶୁରନ୍ଦାଲିସରିଲ୍ ଦାନା-  
ଶୁରିଲିବାରୁ।

ამ დოკებში საფრანგეთის მინის-

ტრს-პრეზიდენტმა ლიონში წარმო-  
სთქვა სიტყვა, რომელშიც საყურა-  
დღებო ის ადგილი, სადაც ბურ-  
ულა შეეხა სამინისტროს ეკუნომი-  
ურსა და საფინანსო პოლიტიკას.  
„არსებობს ორი ბიუჯეტიო“, სთქვა  
მინისტრმა. „ერთი—რეაქციონალუ-  
რი, მეორე—რესპუბლიკანური. სა-  
კიროა პარველმა ბიუჯეტმა დაუთმოს  
ადგილი მეორეს. სამინისტრომ გა-  
ნიხრახა განახორციელოს ეს პროე-  
ქტი. ამისთვის ჩვენ მივმართავთ შემ-  
დეგ საშუალებებს: შევამცირებთ ზო-  
გიყრთ სახელმწიფო ხაჯს და შევ-  
ცვლით გარდასახადთა ხასიათს. შე-  
მოღებულ იქნება შემოსავლის მიხე-  
დვით გარდასახადის გაწერა, რაც  
შეამსუბუქებს მუშა-გლეხთა მძიმე  
მდგომარეობას და გარდასახადსაც  
სამართლიანად გაანაწილებს“. გარდა  
ამისა ბურულა სთქვა, რომ შედეგ-  
ნილ იქნება კანონ პროექტი, რომ-  
ლით გაძლიერებულ იქნება მუშათა  
სინდიკატების მნიშვნელობა; ხოლო  
კანონ პროექტს, სინდიკატების წი-  
ნალმდეგ მიმართულს, რომელიც  
კანგა ხანია ტრანიებ წარუდგინა სე-  
ნატს, სამინისტრო უკანვე წილებსო.

პოლოსას ნიტრა-სასწორს,  
და ოვან-ჰეტჩეს შარსაო.  
ქალებო, ქვეყნის თვალებო,  
თქვენც მოგახსენებთ მა'აო,  
რაც დედოფალს მოგახსენე  
და ცოტა კიდევ სხვასაო;  
ნუ გინდათ ფარჩის კაბები  
მის ფასით შვილს და ძმასაო  
წიგნი ასწავლეთ სკოლაში,  
ღმერთი გადგიხდით მადლსაო;  
ერიდეთ ჭირიკანობას,  
უსაქმობას და იყსაო,  
ქმარ-შვილისთვის და ქვეყნისთვის  
გაიწირავდეთ თავსაო,  
არ გადუხვიოთ არას დროს  
ქართველთა დედის კვალსაო,  
შვილნი დაზარდეთ იგეთნი—  
მტერს უყენებდნენ თვალსაო;  
ქებას გეტყვიან გმირები,  
ვარდს მოგიფენენ გზასაო,  
გარშემო შემოგარტყამენ  
პატივის ცემის ზღვასაო.  
თქვენც გაგიმარჯოთ, კაცებო,  
ღმერთი გაძლევდეთ მხარსაო,  
მტერ-დუშმანი დაგიმარცხოთ  
ყველგან მთასა თუ ბარსაო;  
ბარაქა მი' ცეს გამჩენმა  
თქვენს წლისა მოსავალსაო,  
თქვენ დალოცვილ ჭკვა მარჯვენის  
გარჯილობას და ძალასაო;  
შვილები მოგცეთ იგეთი—

წალმდეკ. ბირმინგამში ერთმა დე-  
პუტატმა ისე გაჰკიცხა ვილჰელმი,  
რომ საფრანგეთის გაზეთებიც-კი გა-  
კვირვებულნი არიან. ერთის პოლ-  
კის ოფიცრებმა ვილჰელმის პორ-  
ტრეტიც-კი დასწვეს, ამბობენ, სამი-  
ნისტროს რამდენიმე წევრი იმ აზ-  
რისაა, რომ ინგლისმა სრულიად უა-  
რი უნდა განაცხადოს „სამთა კავ-  
შირთან“ თანახმად მოქმედებისა.

---

ତମାତରୁଲେ ମାତରାଣୀ.

არა ერთხელ წარმოდგენილმა ჩვენს  
ცენტრულ შილლერის ტრაგედიაშ  
„აკაზიები“ (ბ. ნიკ. ავალიშვილის  
თარგმანი) 7 იანვარს საზოგადოება  
ბლომად მიიჩიდა და თეატრი თითქ-  
მის გაივსო. პიესა მწყობრად იყო  
წარმოდგენილი და საზოგადოება  
კრიტიკის დარჩა, არტისტები ბევ-  
რჯელ იყვნენ გამოწვეულნი და ხან-  
გრძლივის ტაშისცემით დაჯილდოე-  
ბულნი, მეტადრე ფრანც მომრის  
როლის ამსრულებელი ბ. ალექსი-  
მესიშვილი. ფრანცის როლი ბ. მე-  
სიშვილის რეპერტუარში უკეთესს  
როლად ითვლება და სამართლიანა-  
დაც, რაღაც ამ როლს იგი მართლა  
კარგად თამაშობს, თუმცა, ჩვენის  
აზრით, თავს ცოტა გადაჭარბებით  
იმახინჯებს და მართლა რაღაც საში-  
ნელებას წარმოადგენს ხოლმე; მიუ-  
ხედავად ამისა, თავისის მშვენიერის  
თამაშობითა, მეტადრე ორს უკანას-  
კნელს სცენებში მაყურებელზედ დი-  
დი შეაბეჭდილება მოახდინა. მხო-  
ლოდ, სამწუხაროდ, ავალმყოფი ხმა  
მაინც კიდევ ცოტას უშენიდა. ამას  
გარდა, ბ. მესხაშვილმა უკანასკნელი  
მოქმედება თითქმის ერთი კილოთი  
გაატარა და ეს შეცდომად მიგდა  
ნია. როცა ფრანცი შეიტყობს, რომ

სწავლით სწვდებოდნენ ცასაო;  
მთელი ღუნია ჰყვირომდეს  
იმათ ნიჭია და ჰყვასაო,  
ხალხის მძარცვა-მოღალატეს  
ნუ გაიტარებთ კარსაო,  
გვზზე შეტედეთ ზიზღითა,  
როკორც გუბესა მყრალსაო,  
შეშინდებიან სხვებიცა,  
ვეღარ იზამენ ავსაო,  
კეთილი გაძლიერდება,  
ბოროტს დაუყენს ოვალსაო.  
ეხლა კი ნება მიბოძეთ  
ქვეყნისთვის მომტირალსაო,  
სხვა ნეფელებსაც ვეახლო  
თაყვანის ცემით კარსაო,  
ვუთხრა და ვუთხრა შიირი  
იმათ ცოტხალს და მკვდარსაო,  
ბოროტი ვიჩზე გადავსვა,  
პირზე ვუსვამდე მურსაო,  
და კეთილი ავამღლო,  
ცხენს შევსვა ბედაურსაო!  
— ვაშა, მესტვირე! პრავაა! ძა-  
ლუმი ტაშის ცემით და აღფრუოვა-  
ნებული გულის აღტაცებით კვლავ  
აგრიალდა მთელი დარბაზი, ბუზი-  
ვით აირია საესე ჯამ-ჯარები, ხალ-  
ხის და მის მოღვაწეებს სადღეგრ-  
ძელოდ და წუთის მემდევგ გარის-  
ხებული ცის ჭექა-ჭეხილივით გრგვი-  
ნავდა „მრავალ ქამიერ“.  
დ. მაჩხანელი.

